სინოდმა გაუქმა მოსკოვის საპატრიარქოს უცხოეთის დაწესებულებათა სამმართველო და მისი ფუნქციები სსკგ-ს გადასცა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 25.08.2022. 25 აგვისტოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის მონაწილეებმა საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მუშაობა განიხილეს (**ჟურნალი № 87**), – **იუწყება** «Патриархия.ru».

საგარეო საეკლესიო საქმიანობაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უცხოეთის დაწესებულებათა მონაწილეობის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსკოვის საპატრიარქოს უცხოეთის დაწესებულებათა სამმართველოს გაუქმებისა და მისი ფუნქციების გადაცემის შესახებ საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებისთვის, რისთვისაც ამ უკანასკნელის სტრუქტურაში შეიქმნა შესაბამისი სამდივნო.

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს მიტროპოლიტ ანტონის დაევალა, მოამზადოს და წმინდა სინოდს დასამტკიცებლად წარუდგინოს განყოფილების წესდებაში აღნიშნულთან დაკავშირებით შესატანი აუცილებელი ცვლილებები და დამატებები.

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა დეკანოზი ნიკოლოზ ლიშჩენიუკი; მასვე დროებით შეუნარჩუნდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლის სტატუსი ჩეხეთის მიწებისა და სლოვანეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, ასევე კარლოვი ვარში (ჩეხეთის რესპუბლიკა) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის წინამძღვრობა.

სინოდის წევრებმა აგრეთვე დაადგინეს, დაკმაყოფილდეს დეკანოზ ნიკოლოზ ბალაშოვის თხოვნა საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ – გაწეული შრომისთვის მადლობის გამოცხადებით, და მიეცეს კურთხევა, განაგრძოს მოღვაწერობა საგარეო საეკლესიო კავშირების სფეროში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩევლის რანგში.

საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მდივანი მართლმადიდებელთა შორის ურთიერთობებში დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი დანიშნულია საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89564/